განმარტებითი ბარათი
საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტზე

„საქართველოს პარლამენტის წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 2 მარტის N2714-IIს დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ
ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი

N31(ლიახვი), N33(ქარელი), N47(მესტია) და N85(ახალგორი) საარჩევნო ოლქებიდან არჩეული მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ურთიერთობა ზემო აფხაზეთის (კოდორის ხეობა), ცხინვალის რეგიონის და ახალგორის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან გართულებულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად ამ ამომრჩევლების დევნილობაში ყოფნის გამო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დევნილები ამჟამად დროებით იმყოფებიან (ჩასახლებულნი არიან) საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, რაც კიდევ უფრო ართულებს მაჟორიტარი პარლამენტის წევრების კომუნიკაციას მათთან. ამომრჩევლებისათვის მნიშვნელოვანი მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა ვერ ხერხდება შესაბამისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიის ფარგლებში. ამდენად, საჭიროა ზემოაღნიშნული მაჟორიტარი პარლამენტის წევრების დამატებითი მატერიალური უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს მაჟორიტარი პარლამენტის წევრების საქმიანობისა და მათი ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიზანი

დადგენილების პროექტის მიღების მიზანია N31, N33, N47 და N85 საარჩევნო ოქებიდან არჩეული პარლამენტის წევრების რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად ზემო აფხაზეთიდან (კოდორის ხეობა), ცხინვალის რეგიონიდან და ახალგორიდან დევნილ ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით აღნიშნული მაჟორიტარი პარლამენტის წევრების დამატებითი დაფინანსებით უზრუნველყოფა.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი

დადგენილების პროექტის თანახმად, რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად ზემო აფხაზეთიდან (კოდორის ხეობა), ცხინვალის რეგიონიდან და ახალგორიდან დევნილ მოსახლეობასთან ურთიერთობის მიზნით №31, №33, №47 და №85 საარჩევნო ოლქებში არჩეულ პარლამენტის წევრებს პარლამენტის ბიუჯეტიდან ყოველთვიურად დამატებით გამოეყოფათ თითოეულს - 1070 ლარი.

ბ) დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება
ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

დადგენილების პროექტის გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფის აუცილებლობას. აღნიშნული ხარჯები დაფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს პარლამენტისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

ბ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

დადგენილების პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

დადგენილების პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. დადგენილების პროექტის მიღებით გამოწვეული დამატებითი ხარჯების ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს პარლამენტისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

დადგენილების პროექტის თანახმად, №31, №33, №47 და №85 საარჩევნო ოლქებში არჩეული მაჟორიტარი პარლამენტის წევრები მიიღებენ დამატებით თითოეული 1070 ლარს ყოველთვიურად.

ბ.ვ) დადგენილების პროექტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

დადგენილების პროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) დადგენილების პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

დადგენილების პროექტი არ არის კავშირში საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

გ.გ) დადგენილების პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

დ) დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომელმაც მონაწილეობა მიიღეს დადგენილების პროექტის შემუშავებაში

დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან.და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ან ექსპერტებს.

დ.ბ) დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან და ექსპერტის შეფასება დადგენილების პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი შეფასებები არ არსებობს.

დ.გ) დადგენილების პროექტის ავტორი

დადგენილების პროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი კანდიდ კვიციანი.

დ.) დადგენილების პროექტის ინიციატორი

დადგენილების პროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი კანდიდ კვიციანი.